ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3

დ. ქედა 22 თებერვალი 2022 წელი.

ერთის მხრივ, ა.(ა)ი.პ „ქედის კულტურის ცენტრის (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ჯამბულ სურმანიძის და მეორეს მხრივ, შპს ტელექსი ” (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის მოადგილე მაია ჭუმბურიძის სახით , საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ა.(ა)ი.პ ქედის კულტურის ცენტრისთვის ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესყიდვა

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია ხარჯთააღრიცხვაში-დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.3 კლასიფიკატორის კოდი :CPV 22100000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება სულ შეადგენს 300 (სამასი) ლარი

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება 2022 წლის 5 მარტის ჩათვლით
4.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ა.(ა)ი.პ „ქედის კულტურის ცენტრი. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (სასაქონლო, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი სასაქონლო ზედნადების (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 კალენდარლ დღეში.

7.ხელშეკრულების კონტროლის პირობები

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას)განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის განსაზღვრული პირი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.
7.4 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

8. 1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი;
8. 2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8. 3 მიმწოდებელი უფლებამოსილია
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8. 4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
ბ) უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ტექნიკური დავალების შესასრულებლად;

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ანუარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში თუ კი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებით დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

14.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

15.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

16.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

16.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ფორს-მაჟორი

17.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

17.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

17.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

18. დავების გადაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
18.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთ პატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.
19.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
19.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან, ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
19.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება, გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
19.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
19.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 5 აპრილის ჩათვლით

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
ა.(ა).ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	შპს ტელექსი
მის: დ. ქედა დ.აღმაშენებლის ქ. №16	თბილისი,ზაქარია ფალიაშვილის N86
ს/კ 246762203	ს/კ # 404974863
სახელმწიფო ხაზინა	ანგარიში GE32BG0000000297157100
დირექტორი: ჯამბულ სურმანიძე	დირექტორის მოადგილე: მაია ჭუმბურიძე

Jambul Surmanidze 61008002396
Digitally signed by Jambul Surmanidze
Date: 2022.02.22 10:22:27

დანართი

ნომენკლატურა	რაოდენობა	ფასი	თანხა
ქართველები მსოფლიო ისტორიაში 15ტ	1.000	20.0000	20.00
რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები	1.000	22.0000	22.00
ცნობიერება და ცივილიზაცია-მამარდაშვილი	1.000	23.0000	23.00
ოშო - რა არის მედიტაცია?	1.000	15.0000	15.00
ოშო -სექსიდან სუპერცნობიერებამდე	1.000	23.0000	23.00
ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“	1.000	18.0000	18.00
სპინოზას ფილოსოფია	1.000	21.0000	21.00
სარტრი- ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია	1.000	26.0000	26.00
სიორენ კირკეგორი-სატანჯველის სახარება	1.000	20.0000	20.00
ტრაქტატი ადამიანური პრინციპების შემეცნების შესახებ-ბერკლი	1.000	17.0000	17.00
ტროას ომის შემდეგ	1.000	15.0000	15.00
ტროას ომი	1.000	12.0000	12.00
კომპლექტი-ბესიკ ხარანაულის 3 წიგნი	1.000	36.0000	36.00
მიმინოშვილი-ლექსები, პროზა, თარგმანები, პუბლიცისტიკა	1.000	24.0000	24.00
ევროპული ღირებულებები	1.000	8.0000	8.00
	15.000		300.00

Maia Tchumburidze 54001050046

Digitally signed by Maia Tchumburidze
Date: 2022.02.22 13:04:44